# ნიანგი



ს.ს.ს.რ. 35
13 II 1932
№ 159

ნახ. ნადარეიშვილის
**„ნოყიერი ნიადაგი“**

„ზოგ რაიონებში ოპორტუნისტული მიდგომით ფერხდება თესვის თავის დროზე დაწყება“

კოლმეურნე:— აქ ნეხვი ბევრია, მოსავალიც კარგი უნდა დარჩეს

მარტი 1932 წ.
№ 10. ფასი 20 კ.

# კაფე-თესე

ალე ორპირაძეს ყველა იცნობს, როგორც „თავის კაცს", მას თავის მეტი არავინ და არაფერი სწამდა.

მე თუ არ ვიქნები, რათ მინდა სოციალიზმიო, — იტყოდა ხოლმე ის თავისთვის.

ცხადია „საქვეყნოდ" ალე „ნამდვილი, ჭეშმარიტი" კომუნისტი იყო.

— გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას. გაუმარჯოს კომუნიზმს. — გაიძახოდა ის

სოფელში წასვლა სამუშაოდ ალეს ჭირივით ეზარებოდა.

— რატომ უნდა „გაილახო" კაცმა თავი, სოფელში შენს გემოზე ვერ მოისვენებ, ვერ ჭამ და ვერ სვამ,— ამბობდა ის.

საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ისიც მობილიზაციაში მოყვა. ბევრი ეცადა ალემ, რომ ტფილისში დარჩენილიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა:

იძულებული იყო სათანადო ორგანოების დადგენილებას დამორჩილებოდა.

— მაშ, თუ ასეა, მე მკითხეთ, როგორ ჩავატარებ საგაზაფხულო კამპანიას. ხელში სანადირო თოფით მთელი დღე ვინადირებ, — ამბობდა ის და სოფლად გამგზავრებისათვის ემზადებოდა.

ალეს თან უნდა წაეყვანა მთელი ოჯახი: ბებია და ბაბუა, ცოლი, ორი შვილი, ერთი ნათესავი კაცი, ერთი მოსამსახურე და ერთი მწევარი ძაღლი.



სოფელ ტინტილეთის მოსახლეობა დიდი ამბით შეხვდა ალე ორპირაძეს.

ადგილობრივი სკოლის ეზოში ხალხი შეიკრიბა.

— ამხანაგებო, დაიწყო სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, — ტფილისიდან ჩვენ სოფელში მოვლინებულია ალე ორპირაძე, რომელიც ხელმძღვანელობას და დახმარებას გაგვიწევს მიმდინარე მუშაობაში! — მან დაახასიათა ორპირაძე, როგორც ძველი რევოლიუციონერი, როგორც ბრძოლებში გამობრძმედილი ადამიანი (თუმცა მან ორპირაძის გვარი პირველად გაეგონა).

ორპირაძემ ბოდიში მოიხადა კრების წინაშე, რომ მას დაღლილობის გამო არ შეუძლია სიტყვის თქმა და დაპირდა ხალხს ახლო მომავალში სპეციალური მოხსენების გაკეთებას.

მას მიუჩინეს ბინად სკოლის შენობაში ორი ოთახი, რომელშიაც მან მოაწყო თავისი ოჯახი.

—ნეტავ როდის გაგვიკეთებს ორპირაძე მოხსენებას?

— ნეტავ ვიცოდეთ რაში გამოიხატება მისი დახმარება ჩვენთვის?—ეკითხებოდნენ ერთიმანეთს ტინტილეთელი გლეხები.

— სად ცალია ჩვენთვის, მთელი დღე სანადიროდ დაეხეტება ტყეში და ღრეში, ქე მაინც სანადირო ადგილები გვქონდეს ბელურების მეტი ჩვენში სხვა ჩიტი არაა!—გაიგონებდით მის შესახებ.

საგაზაფხულო თესვის გარშემო მუშაობის შესამოწმებლად სოფელი ტინტილეთი ინახულეს თემსაბჭოს თავმჯდომარემ და რაიკომის მდივანმა, ორპირაძე ამ დროს სანადიროთ წასულიყო. როცა მეზობელ სოფლებში ტფილისიდან გაგზავნილ ამხანაგების ხელმძღვანელობით გაჩაღებული იყო ბოლშევიკური მუშაობა საგაზაფხულო თესვის გარშემო.

— წავიდეთ, მოვძებნოთ ორპირაძე, — იყო წინადადება რაისაბჭოს თავმჯდომარის, რაზედაც მას დაეთანხმა რაიკომის მდივანიც.

— ბიჭოს, სანაძლეოს ვიძლევი, თუ ის ორპირაძე არ იქნება. — წამოიძახა რაიკომის მდივანმა, რომელმაც თვალი მოჰკრა ტყის პირად ჩრდილში წამოწოლილ ორპირაძეს.

მას მიუახლოვდენ.

მხართეძოზე წამოწოლილ ორპირაძეს ძილისათვის მიეცა თავი, ძილში ხედავდა:

ტფილისის ქუჩებში ხალხი გამოფენილიყო სამუშაო იარაღებით და თავისუფლების მოედნისაკენ მიეშურებოდა, სადაც ამ დროს მუშაობა იყო გაჩაღებული, თესავდენ ჩაის, ბამბას, სოიას და სხვას, ორპირაძე იდგა ტრიბუნაზე და მხურვალე სიტყვას ამბობდა საგაზაფხულო თესვის შესახებ.

ქალაქის საბჭოს შენობის სახურავიდან გუგული გაჰკიოდა „კაფე-თესე".

მეორე დღეს ალე ორპირაძე ეთხოვება სამუდამოთ სოფელ ტინტილეთს.. მას არავინ აცილებდა.

ყუმბარა.

# სასიხარულო ცნობა

შანხაის კონფერენცია უშედეგოთ თავდება. მოსალოდნელია ხაოშარი, მოქმედებების განხილვა".

ნახ. მარიაშის.



— ისევ შანხაისაკენ გავფრინდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიძია არაქელას ნაამბობი

— ბიჭო, კიდევ გეტყვი ერთ რამეს და თუ დაგიჯდეს ჭკუაში,— დაწერე!

— სთქვი, არაქელ!

— ხომ-და აი, იყო ერთი კინტო. აღარ არიან, ბიჭო, ახლა ის კინტოები, რომლებიც ძალიან მახვილი და მოსწრებული სიტყვების ხალხი იყო. სადღაა ის ყარაჩოღელი ბიჭები, რომლებსაც კაბის სიგანე შარვალი ეცვათ, შენი თავის ოდენა შესაბნევით ვერცხლის ქამარი ერტყათ წელზე და მჯიღის ოდენა ჩიბუხით აბოლებდნენ თუთუნს!

აი, ასეთ ერთ კინტო ბიჭს მობეზრდა ხილითა და მწვანილით სავსე გობის თავით ტარება და გადასწყვიტა რამე უფრო მსუბუქი საქმით ცხოვრება.

ამ ქალაქშივე ცხოვრობდა ერთი, — ჰა, ხუცესი იყოს, თუ გინდა, ანა და ხახამი, ან მოლა—ეგ სულერთია!

ამ მოლას დიდი სახელი ჰქონდა გათქმული თავისი წმინდა და ფაქიზი ცხოვრებით და ხასიათით: მასთან რაიმე უკმეხი სიტყვის თქმაც კი არ შეიძლებოდა — უწმაწური გინება ხომ არა და არა!

ჩვენმა კინტომაც აიღო თავი და მიადგა კარზე ამ მოლას. შევიდა თუ არა მასთან, მაშინვე მიაძახა:

— მოლა, ა, მოლ! მასესხე ერთი თუმანი!

მოლა სახტად დარჩა და გაოცებული შესცქეროდა კინტოს, რომელმაც მას გონზე მოსვლაც არ აცალა.

— მოლა, მასესხე მეთქი ერთი თუმანი, შენი ყორანის..

მოლამ, ამ სიტყვის გაგონებაზე, სწრაფად მიაფარა ხელი პირზე კინტოს და მეორე ხელით ჯიბეში ფულის ძებნას შეუდგა.

ჩამოართვა რა კინტომ მოლას თუმანი, ზრდილობიანად გადაუხადა მადლობა, ბოდიში მოიხადა შეწუხებისათვის და უკმეხი სიტყვების წარმოთქმისათვის და წყნარად გავიდა გარეთ.

კარებში გასვლისას რამდენიმე გროშები ჩაუდო ხელში მოლას მოსამსახურეს და ღიმილით გამოემშვიდობა.

როცა გამოილია ეს ფული კინტოს, — მაშინ ეს დიდი თანხა იყო, — ხელმეორედ ეწვია მოლას. მოსამსახურემ დაუბრკოლებლად შეუშვა მასთან.

— მოლა, კიდევ უნდა მასესხო ოცდა ხუთი მანეთი!

მოლამ რაღაცას თქმა დააპირა, მაგრამ კინტომ არ დააცალა.

— მასესხე მეთქი, მოლა, ოცდა ხუთი მანეთი, შენი მოჰამედის წვერ...

მოლამ არ დააცალა სიტყვების დამთავრება, საჩქაროდ დააფარა პირზე ხელი და შეუდგა ჯიბეში ფუთიალს ფულის მოსანახად.

მიიღო რა ფული კინტომ, კიდევ უფრო მეტი, ვიდრე პირველად, თავაზიანობით, ბოდიშით და ტკბილი სიტყვებით გამოემშვიდობა მოლას, ჩაუჩხრიალა მსახურს ხელში რამდენიმე ვერცხლის უზალთუნები და ლიღინით გასწია ორთაჭალისაკენ: ძმაბიჭებთან საქეიფოდ.

მესამეჯერაც გაიმეორა კინტომ ამგვარად, მაგრამ ეხლა ხუთი თუმანი დასცანცლა მოლას, რის შემდეგ, კინტო ორთაჭალისკენ გაემართა და მოლა კი პოლიცმეისტერისაკენ, საჩივლელად.

მოისმინა რა პოლიცმეისტერმა მოლას საჩივარი, აღუთქვა კინტოს დაჭერა უსათუოდ, თუ ის კიდევ გამოჩნდებოდა მასთან.

ამ მიზნით პოლიცმეისტერმა დააყენა დარაჯები მოლას ბინაზე, კინტოს სათვალთვალებლად.

ხანი დიდი არ დაუყოვნებია. კარგა წაქეიფების შემდეგ, ერთიც ვნახოთ, გამოცხადდა კინტო მოლას ბინაზე. მაგრამ ის გააფრთხილა მადლიერმა მოსამსახურემ დარაჯების იქ ყოფნის შესახებ.

კინტოს წარბიც არ შეუხრია, ისე შევიდა მოლასთან, მორიდებულად გაჩერდა შორი-ახლოს და ხვეწნა-მუდარის კილოთი მიჰმართა შემდეგი სიტყვებით:

— დიდო ალაჰის მოადგილევ, ყოვლად წმინდა და პატიოსანო მამაო, მაპატიეთ კადნიერება მე ცოდვილს, მაგრამ მეტი გამოსავალი აღარაფერი დამრჩენია და ამიტომ იძულებული ვარ შეგაწუხოთ და მოგმართოთ თხოვნით, რომ დამიბრუნოთ ის ასი მანეთი, რომელიც გმართებთ ჩემი და რომლის თხოვნითაც არ შეგაწუხებდით, რომ მეტისმეტად არ გამჭირვებოდა.

ამ სიტყვების გაგონებაზე მოლა სახტად დარჩა და აღარ იცოდა, რა ეპასუხნა.

კინტო კი განაგრძობდა დიდი ბოდიშით ხვეწნას, რათა მოლას არ სწყენოდა, რომ ის გაკადნიერდა და მოითხოვა მას ვალის გადახდა.

ამ ხანში მოლა მოვიდა გონს და მკვახედ შეუტია კინტოს, — თუ რას მიედ-მოედებოდა ის და რა ვალის გადახდას თხოულობდა მისგან.

გაიმეორა რა კინტომ თავისი ხვეწნა-მუდარა და ვერ მიიღო რა მოლასგან დამაკმაყოფილებელი პასუხი, დაღონებული სახით გამობრუნდა უკან. მაგრამ დარაჯებმა დაატუსაღეს ის, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, წაიყვანეს პოლიცმეისტერთან და უამბეს ყოველივე მათ მიერ ნახული და გაგონილი.

პოლიცმეისტერმა გაანთავისუფლა კინტო და გაბრაზებულმა მოიხმო მოლა, რომელსაც აბრადღუნი გადააყარა თავზე ამნაირი მოტყუებისთვის.

სახლში დაბრუნებული მოლა ჯერ არც კი გამორკვეულიყო და დამშვიდებულიყო, რომ კარზე მოადგა კინტო.

— აბა, მოლა, ჩამოდი ეხლა ათი თუმანი! მოლა ჩუმად იყო.

— ჩამოდი მეთქი, ათი თუმანი, რაღა! მოლა კიდევ სდუმდა.

— ვა-ა! არ გესმის, რას გეუბნები? დაყაჭე მეთქი ათი თუმანი!

მოლა კრინტს არ სძრავდა.

— მოლა! ჩამოდი ათი თუმანი,— შენი ყორანისთვის ასე და ისე მაქნია!

— მეც ასე და ისე მიქნია! — უპასუხა გრძნობიდან გამოსულმა მოლამ.

ეხლა კი გაოცებულმა კინტომ დააღო ხახა!

გონზე მოსული კინტო შემდეგ, უფრო უწმაწურად აგინებდა მოლას ყველა მის წმინდანებს, მაგრამ ერთსა და იმავე პასუხს ღებულობდა მისგან:

— მეც ავრე! აი, მეც ემაგრე ვქენი!..

— მერე, არაქელ, მერე?

— მერე და რა! ხელცარიელი კინტო დაუბრუნდა თავის გობს და მოლა კი სიწმინდეს და სიფაქიზეს,

— მეტი არაფერი!..

ს. თ—ძე.

# პირველი აპრილი

ჯერ ისე, ჩვეულებრივ დღესაც კი რომ შებრძანდეთ ჩვენს დოყლაპკომში, მაშინაც არაჩვეულებრივ რამეებს ნახავთ იქ: თანამშრომლები არასოდეს თავიანთ ადგილებზე არა სხედან და, არა თუ არა სხედან, არც კი ჰაჭანებენ ახლო-მახლო, თითქოს ოჯახ-დაქცეულ, დაცლებულ სკამთან ყოფილა საქმე. ან კიდევ თუ არიან, ისეთი ჩურჩულ-ტრიალი და ერთი ვაი უშველებელი აქვთ ატეხილი, რომ გეგონებათ ხალხი ხანძარზე მიისწრაფის ან კიდევ დეზერტირობაზე არიანო.

სამაგიეროდ, მოვა თუ არა ჩვენი დოყლაპიების თავმჯდომარე, დომენტი დოყლაპიაშვილი, შემოაღებს თავისი კაბინეტის კარებს, დატვირთული მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდება თავის სავარძელს, ღრმად ჩაეშვება მის რბილ საჯდომში, თითქოს თავზილერი გადაჭრილი კუნძი ჩარჩეს რბილ ნიადაგში, და ზის შემდეგ გაუნძრევლად თავის ადგილზე წასვლამდე.

დოყლაპკომის შაი-ვარალე მისთვის თით წორს არც კი ასრულებს.

რა თქმა უნდა, იციან რა დომენტის სიმბილე (სხვა რამე არ გეგონოთ, ხასიათის სიმბილეზეა ლაპარაკი!), მას ახლოს არავინ არ ეკარება, არც აწუხებს ვინმე დომენტის. კორესპონდენცია რა არის, კორესპონდენციაც იშვიათად შემოდის დოყლაპკომში, რადგან, თავის მხრით, არც დოყლაპკომი აწუხებს ვისმეს. ერთი ორი ქაღალდი თუ მოვა დღეში, იმას საქმეთა მმართველიც ადვილად გასწვდება: გაატარ-გამოატარებს სადაც საჭიროა, და მოგვჭამათ ჭირი.

შეიძლება ასეთი ამბები კიდევ სადმე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდეს, მაგრამ მე ამჟამად მაინც ერთად ერთ დოყლაპკომზე მოგახსენებთ და იქაც კი არაჩვეულებრივ მოვლენად გეჩვენება ასეთი რამეები.

და არც უსაფუძვლოდ.

მაგრამ ამ დღეს ამ არაჩვეულებრივ დაწესებულებაშიაც კი არაჩვეულებრივი მდგომარეობა იყო შექმნილი. ხალხის მოძრაობა და ურიამული ერთი ათად თუ არა, ერთი ორად მაინც გაზრდილიყო. იყო ერთი ზღვის ღელვისებური ამბავი: ყველაზე დიდ დარბაზში მდგომარეობა ჯერ ერთი უცბათ დაიძაბებოდა. ყოველივე გაიქმინდებოდა, ქარიშხლის წინ რომ იცის ბუნებამ, შემდეგ კი უცბათ ასქდებოდა ერთი სიცილი და ღრიანცელი, რომელსაც მოჰყვებოდა ისევ დაძაბული მდგომარეობა და ამ უკანასკნელს—ისევ სიცილ-ტკრციალი და ერთი ორომ-ტრიალი შესცვლიდა.

„სიცილი გადამდებია"-ო, ნათქვამია. და აი, თვითონ დომენტის კაბინეტშიც შეაღწია ბოლოს ამსიცილმა ღვაი-უშველებელმა და ბოლოს ეს მიუვალი ციტადელიც კი აიღო იმ დღეს დოყლაპკომის გათამამებულმა სტიქიამ.

ჯერ დომენტი რომ მობრძანდა, თითქმის ნახევარი კილომეტრიდან შენიშნეს მისი საზეიმო მოახლოვება. ცქიფურია ცქიფაშვილის ქალმა, ყველაზე მოუსვენარმა დოყლაპკომში და დომენტის თვალის ჭყალმა, უცბათ წამოიძახა: „ამხანაგებო, მგონი რაღაც ისე ინძრევა, რომ უეჭველად დომენტი მობრძანდება"-ო.

— აბა, მაგასო!—შესძახეს დანარჩენებმა და გაიმართა რაღაც ფარული თათბირი.

არ გაუვლია რამდენიმე წუთს, რომ დომენტი მართლაც შემოგრუხუნდა თავის კაბინეტში, სადაც მის მაგიდას იქით-აქედან ორი შანდალივით დაეყუდენ დომენტის მოადგილე და საქმეთა მმართველი.

ასეთმა პატივისცემამ დომენტზე იმოქმედა და იგი უცბათ კარგ გუნებაზე დადგა. დომენტის მდგომარეობა სადღესასწაულოდ შეიცვალა, როცა შიკრიკმა მორიდებულად მოართვა რაღაც დაბეჭდილი კონვერტი. დომენტი ელაგა თავის სავარძელში და ხელში დიდხანს ატრიალებდა მილებულ კონვერტს, ვითომ აქ შემსწრე თანამშრომლებს აღიზიანებსო: ერთი შემომხედეთ რა მილებული კაცი ვარ, როგორი კოხტა კონვერტით მომდის წერილები, ერთი მისამართსაც დამიხედეთ! არა, სრული ტიტული საიდან სცოდნიათ ჩემი?

გაიკვირვა დომენტიმ და იქვე ჩაიკითხა, ეს ტიტული მის მოადგილესა და საქმეთა მმართველსაც რომ ეკლად შესობოდათ გულში:

„საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დოყლაპკომის თავმჯდომარეს, ძვირფასა და დამსახურებულ დომენტი დიანოსისძე დოყლაპიაშვილს".

მაგრამ ხასიათი შეეცვალა როცა დომენტიმ ბოლოს ხელში კაი ხანს ტრიალის შემდეგ, როგორც იქნა გახსნა კონვერტი. თითქმის სრულიად სუფთა ქაღალდზე მხოლოდ ერთად-ერთ ადგილზე ეწერა:

**დღეს პირველი აპრილია**

დომენტიმ სასწრაფოდ მოკეცა ქაღალდი და პირზე ისე უშნოთ გადაიხსნა, რომ შეუძლებელი იყო გამოცნობა იცინოდა დომენტი, იღიმებოდა, გესლიანი სევდით დაიტვირთა მისი ისედაც დატვირთული არსება, სიბრაზემ თუ უბრალო გაოცებამ მოიცვა ის.

— ეს უეჭველად ცქიფურიას ოინია, წამოიძახა ბოლოს დომენტიმ და ამ დაძახილს ბანი მისცა მისი მოადგილისა და საქმეთა მმართველის გულიანმა ხარხარმა.

**ჭაზირა**

# „ნიანგი"-ს ბრიგადა

მართ თესვის ფრონტზე გავშალე შეტევა ნიანგურია
შესამოწმებლად შემოვვლე **ქართლ-კახ-იმერეთ-გურია;**
როგორ სრულდება გეგმები, ისი გავება მწყურია:
სძულს და გადმოჰქონდს ტემპები, თუ საქმე „ჭიანურია"?
ვითარ გადასდგეს ნაბიჯი—ბოლშევიკური, თუ ნელი?
**ხომ** არ აფერხებს საქმესა მავნე თუ ოპორტუნელი?

—:—

**კახეთს** მიველ ბრიგადირად, მართ ალაზანს წყალი მესვა,
ვნახეთამცა „როგორ მიდის გაზაფხულის ხვნა და თესვა, —
და შედეგი მოკვლევისა, რომ ავსწონე, არ დავლონდი;
**გარდვეული** რომე აქვნდეს გამოსწორდა უკვე ფრონტი;
**„ალაზნამზამ"** ამა კვირეს მთლად გადახნა ველი, კორდი,
თესვას იწყებს ტემპოვანსა, შეგროვდამცა თესლთა ფონდი.
გამეხარნეს ესე ცნობა მოვაშურე **ბოდბისხევად,**
ოპორტუნისტ **ყაჯრიშვილის** დასატკვერ და დასახევად:
სოფლის საბჭოს თავმჯდომარებს, მოიწვევს ყე ფართო კრებას,
და მოითხოვს იცით რასა? ბამბის თესვის შემცირებას...
ყაჯრიშვილო შენს წინაშე დაყაჯრული მოგიყვანე,
დაკბილე და მოინელე იგი—ნიანგ, გეთაყვანე!

—:—

**ბორჩალოს** გადმოვიარე, ვსცან **ყარაიას** ამბავი,
აქ ჰექტარიც **კი** არ რჩება დაუთეს—დაუბამბავი,
მათ ჯილდოთ შენი ფირმანი, მივსცენ—ბეთ წაქეზებისა.
და ქართლად მოვიქცეოდი მძებნელი ახალ გზებისა,
**გორის რაიონს** დიამცა მიღწევები აქვს ფრიადი:
ხვნა - რჩება, თესლი შეგროვდა, ითესვის პური—შვრიადი
ვსცან, გეგმა გადაჭარბდება, ცაფრი მივიღე ზვავადი.
**სტალინისი** მიჩანჩალებს ჰა, ჩამორჩეს, ჰა თუ არა;
**სამზადისის** კამპანიამ, ცხვირწინ ისე გადუარა,
რომ იარაღ-მანქანები ძლივს შეკეთდა სანახევროდ,
თესვისთვის მის მუშაობა, ჰხაჰს ვიმციროთ, არ ვიბევროთ.
**ჩაის ფრონტს** შემოვუარე გურია—იმერეთია;
ჩვენ აქ გარღვევა არ გვექნეს არამცა ერთი წვეთითა
ამ დირექტივით წარვიჭრეჭი, მართ შენგან დანაკვეთითა,
**ნიადაგისა** მზადება ვსცანა ყველა განაკვეთითა:
აღმოჩნდების მიღწევები **ზუგდიდსა და ნატანებსა,**
**აფხაზეთი, აჭარისტანს** უსწრებს, ძალას ატანებსა,
**ვოდორ-ვანს და ჩოხატაურს** ვხედავ დასატატანებსა, —
უკურჩების, ჩაის ფრონტზე, სამივ სუსტად „კაკანებსა";
**სენაკ-ფაცხოვს და მარტვილის** თესვის შტაბებს უწევ ჟურებს,
ჩამორჩენას უმზადებენ ჩაისა და ტეხკულტურებს.

—:—

ასე ვილაშქრე ნიანგო, შესამოწმებლად თესვისა,
დავჩანგლე ვისაც ტემპებში ოპორტუნიზმი ესვისა,
და დავალება მივეცი შენგანვე ჩამოტივები:
უკლებლივ შეასრულონ პარტიის დირექტივები.

**ჩანჩაგირ.**

ნახ. ნადარეიშვილის.

# თამაში ტიკინებით

„საფრანგეთი დუნაის სახელმწი-
ფოების გაერთიანებით ქმნის ანტის-
ფრონტს"



# ახალი პალტო

მეზობლის ცოლმა საზაფხულო პალტო შეიკერა.

ცოლ-ქმარის ამ ამბავზე ხშირად ჰქონდათ ლაპარაკი და ეს ლაპარაკი სტუმრებთან კიდევ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა.

როცა სამკერვალოდან პალტო მოიტანეს, ანგარიშეს ყოველგვარი ხარჯები და გამოირკვა, რომ პალტო დაჯდა 211 მან. 36 კაპ. (ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ქმარი ბუღალტრად მუშაობს და, მგონი, ფარმაცევტიც არის. ასე, რომ ზუსტ ანგარიშიანობაში დახელოვნებული კაცია).

დიდხანს ათვალიერეს პალტო და შეაფასეს:

— სამასი მანეთი, როგორიც ერთი კაპიკი—ისე ღირს!—სთქვა ქმარმა.

— გიჟი ხარ! სამას მანეთად სად იყიდი ასეთ კარგ პალტოს! სამას მანეთად მარტო ერთი შეხედვა ღირს. ოთხას მანეთს კაპიკი არ დააკლდება! — იყო ცოლის (ე. ი. პალტოს პატრონის) სწორი შეფასება.

— ბაზრის ფასების მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ოთხასი კი არა, ხუთასი მანეთიც ცოტა იქნება! — აუწია ფასი ქმარმა.

— ექვსასი მანეთი, ნაკლებ არ შეიძლება! — კატეგორიული ფასი დაადვა ცოლმა და ამით შეწყდა თათბირი ფასის და ნიხრის დაწესებაზე.

—:—

— ამერიკაში კრიზისი მეხო მოთელ რიგ წარმოებებს. მცხოვრებთა სყიდვითი უნარიანობა კლებულობს და!.. — ლაპარაკი ჩამოვარდა ბუღალტერიაში ამერიკაში კრიზისის შესახებ, მაგრამ სიტყვა არ დამთავრებინა ბუხჰალტერმა.

— მართალია, ეგ კი არა, ცოლმა მა... შეიკერა და იცით თქვენ რა დაუჯდა? გინდ დაიჯერეთ გინდ არა. — 650 მანეთი.

— კარგი პალტო მეტიც დაჯდებოდა! — თავისი აზრი გამოსთქვა მოანგარიშემ.

— მგონი მეტიც დაუჯდა, მაგრამ მე არ მითხრა.

— როგორ? შენი ეშინია?!

— რას ამბობ, კაცო? მე და ჩემს ცოლს რომ ტკბილი ცოლ-ქმრობა გვაქვს, ასეთი, მგონი, არავის ექნება!

—:—

— ხომ ხედავ, რა პალტო შეუკერა გრიშამ (ჩემი მეზობლის სახელია) ცოლს. შვიდასი მანეთი მისცა შიგ! — დაუწყო საყვედური თავის ქმარს მეორე მეზობელმა.

— შვიდასი კი არა, ათასი არ გინდა! დიდი-დიდი ის პალტო ღირს 200-300 მანეთი! ანუგეშა ცოლი ქმარმა.

— შვილებს გეფიცები მართალს გეუბნები. თვითონ აგრაფინამ მითხრა.

ამგვარად, პალტოს ფასი ცვალებადია. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ ვისთან და როდის არის ლაპარაკი პალტოს შესახებ.

—:—

— კარგი რა! ერთი საწყალი პალტო შევიკერე და, გგ... ა, თითქო დიდი რამ მოხდა. ოთასი მანეთი კი არა, სხვების ცოლებს ათას მანეთიანი პალტო აცვიათ.

...ასი მანეთით, რომ ... ამბობ, ოთას... კი არა, ექვსასი და შვიდასი მანეთი ვერ იყ... ძაგ პალტოს.



აკი ასეც ვამბობთ ყველგან და ყველასთან.

ჩემი გაბაიბურებაც მოისურვეს მეზობლებმა.

— სალამი ქალბატონო... კარგი პალტო შეგიკერავთ. ალბად ხუთმეტი თუმანი მაინც მიეცით მაგ პალტოში! — შინაურული, მეზობლური კილოთი დავუწყე ლაპარაკი მეზობლის ქალს.

— ხუთმეტ თუმნად მოგართმევენ... სამასი მანეთი მივეცით შიგ და ისიც პროტექციით, თორემ ბაზარზე ასეთ პალტოს ვერც კი იშოვი...

— ჰოოო, მართლა მშვენიერი რამ ყოფილა! — გავიკვირვე და (სული ცოდვილო!) ახლოს მივუახლოვდი და პალტოს გასინჯვის მიზნით მკლავი მაგრად შევუსრისე.

— ნუ ხარ შენ უშნო არშიყი! — მისაყვედურა და წავიდა.

— „უშნო არშიყი"... მაშასადამე, საჭირო ყოფილა შნო და... ას ერჩი ქალს! ყველაფერს ხომ ვერ გეტყვის... ცოტა რამე თვითონ უნდა მოისაზრო)...

სწორედ შემოსასვლელში შეხვდა ქმარს.

— რა ცუდ დროზედ მოდი, მე ახლა სასეირნოდ მივდიოდი! — უსაყვედურა ცოლმა ქმარს.

— არა უშავს, სეირნობა სადილის შემდეგ...

— ახალი პალტო უნდა აჩვენოს საზოგადოებას! — ჩავერიე შნოიანი ხუმრობით ცოლ-ქმარს ლაპარაკში.

— ისწავლე შნო-მეთქი გეუბნები! — სხვა მნიშვნელობით შემომიტია აგრაფინამ.

— ჰო, მართალია, უნდა ყველას უჩვენოს თავისი ახალი პალტო.. ნუ გეშინია კი დაჯდა ფასი — შვიდასი მანეთი! — სთქვა ქმარმა.

— როგორ თუ შვიდასი! — გავიკვირვე მე, — წელან ქ.-ნ აგრაფინამ ბრძანა — სამასი მანეთი მივეცით პალტოშიო!

ცოლ-ქმარი დაიბნა. უხერხულად ერთმანეთს გადახედეს და ოთახში შევიდნენ.

— ეს მეექვსე შემთხვევაა, როცა ასეთ სიცრუეში გვიჭერენ. კაცს მაწითლებ სხვების წინაშე. შენ სხვას ამბობ, მე — სხვას, ასე არ შეიძლება. ამასთან ამიერიდან ვაფასებთ შენს პალტოს, იმასთან — იმდენად. გეუბნები ასე არ შეიძლება-თქვა. შევიმუშავეთ ერთი ფასი. წარამარა ყველასთან და ყველგან ნუ ვცვლით ფასს, სირცხვილია, არ ვარგა...

კამათმა ცხარი ხასიათი მიიღო.

ალბად (ცოლ... ...რი მალე შეიმუშავებს პალტოზე მტკიცე ნიხრს.

ისელი

# რასაც დასთესავ—იმას მოიმკი

ჰო, რასაც დასთესავ იმას მოიმკი, მაგრამ თუ არ დასთესავ რა ფეხებს მოიმკი..

ჰო-და რომ დათესო, ამისათვის და სათესი თესლი უნდა გქონდეს, ხოლო თესლი რომ თავის დროზე გქონდეს, ამისათვის თავი უნდა გქონდეს, თუმცა ყველა თავი ხომ თავი არ არის, თავი ისეთი უნდა გქონდეს, რომ ტვინის განძრევა შეგიძლობდეს ესე იგი ისეთი თავია საჭირო რომელშიაც ასეთი აზრი უნდა ტრიალებდეს: თესლს მაშინ კი არ უნდა ძებნა, როცა ხვნას შეუდგება ყველა, არამედ ცოტა უფრო ადრე...

ეს არ ესმის ბევრს. და, ეს არ ესმის პირველ ყოვლისა სიღნაღის რაიონის მთესველებს, რომლებიც ისე გავიდნენ თესვად, რომ სათესლე მასალა არ მოუმარაგებიათ. „თესლი მთელი რაიონისათვის საჭირო იყო 18.654 ცენტნერის რაოდენობით, ხოლო მათ ამჟამად, როცა უკვე ხვნა დაიწყო, აქვთ მხოლოდ 5000 ცენტნერი“ (გაზეთებიდან). რას ფიქრობენ სიღნაღელი მთესველები? სად იყვნენ აქამდე? კოლმეურნეობებმა გადახნეს მიწები, ხოლო დასათესი არაფერი გააჩნიათ, გარდა რაიმიწგანის და რაიკოლმეურნკავშირის ცირკულიარებისა. ამას ჰქვია პირწავარდნილი ოპორტუნიზმი სხვა რომ არა ვთქვათ რა.

ჭიათურის რაიონმაც „გვასახელა“ თესლის მოუმარაგებლობაში. „რაიონში საჭირო იყო სათესლე ხორბალი 86 ცენტნერი, შეგროვილია 45 ცენ., აკლია 41 ცენტნერი, ქერი საჭირო იყო 178 ცენტნ., აქვთ 80 ცენტნ. აკლიათ 98 ცენტნერი, კარტოფილის თესლი საჭირო იყო 1100 ცენტნერი, აქვთ მხოლოდ 200 ცენტნერი, ე. ი. აკლიათ სულ მთელი 900 ცენტნერი“ (გაზეთებიდან).

რას მოიმკიან ჭიათურელი მთესველები? ცხადია იმას, რასაც დასთესავენ... ხოლო დასთესავენ, რაც აქვთ. არ მოუცდათ მოსავალი, მოიმკიან რაღაც უმნიშვნელო ნაწილს, მერე მიაკლდებათ საჭმელი და ასტეხენ განგაშს: „არიქა გვიშველეთ! დაგვეშშა რაიონი“-ო.

ამისათვის დროზე იყო საჭირო თესლზე ზრუნვა.. ეხლაც შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ამას ფხიანი მთესველები უნდა. ჭიათურელ მთესველებს კი ეს ფხა აკლიათ... თორემ იმდენი ვიგანგაშეთ, იმდენი ურტყით მარჯვნით და მარცხნით, იმდენჯერ შევაფუცხუნეთ, მაგრამ ჰაობიდან ისინი მაინც ვერ ამოვაძვრინეთ. ალბად, რაღაც სხვა ზომაა საჭირო.

ბევრგან არიან ასეთი მთესველები, რომლებიც ცირკულიარებით შეიარაღებულნი; გავიდნენ მინდვრათ და ამით აპირებენ ხუთწლედის დამასრულებელი წლის საწარმო დავალებათა მთლიანად შესრულებას! ჰე! ჰე! ასე ბიჭებო შორს ვერ წავალთ.. დავიკაპიწოთ, დავჩახმახდეთ, [illegible] გაროვეულ ფრონტს თესლის მომარაგებაში, თორემ „მამა ნუ წამიწყდეგა“ კარგი მოსავალი რომ არ გექნეთ წელს, სულ რომ სიმშილით ვაწყდეთ გამომცხვარი ქადის კიდეაც არ წაგიტეხთ.

**შეიხი**

# შეფი და გაზაფხული

ნახ. თოიძის.



— რა კარგია გაზაფხული... [illegible] ბაღში!

— ხო, მართლა, გასული წლის ზაფხულს შემდეგ საშუვო სოფელში არ ყოფილხარ, წავიდეთ უსათუოდ!

# გ უ რ უ ლ ი კ უ ლ ა კ ი

**მოქმედნი:**

**კოწია კვირცხლაშვილი** კოლექტივის აქტიური წევრი — კომკავშირელი.

**ივანიკა ნაფოტვარიძე** — კულაკი, ყოფილი მენშევიკი.

**გლახუნა კრიჟანგაძე** — სოფლის ყოფილი ჩარჩი, კოლექტივის მტერი.

**სოფლის ორღობე, ნაფოტვარიძე ჯირკზე ჩამომჯდარი ვიღაცას მოელის.**

**ივანიკა** (მომავალ გლახუნას დაინახავს): — ვაიმე, წახდა საქმე ეა ააა. თუ მაგან დამინახა, მორჩა, ალარ მომცილდება, მოყვება ცისა და ხმელის ენა კი აქვს ნუ გეშინია, ქემართს ჭკუიან რამეს იტყოდეს. მერე და თუ ვინმემ აქანაი შეგვამჩნია იტყვიან — კულაკი და ჩარჩი კოლექტივის წინააღმდეგ ლაპარაკობენო...

**გლახუნა** (ივანიკას მიუახლოვდება) — გამარჯობა შენი, ივანიკა, რავა ბოქკასავით ჩამჯდარხარ მანქანაი! (ივანიკა სახეს აარიდებს და პასუხს არ გასცემს): — რავა ენა ჩაგივარდა მუცელში თუ! ხომ აღარ მენდური! შენ თუ ბალშევიკები მოგაჯდნენ კისერზე, ჩემი რა ბრალია. ჭკუიანი ხარ, ბიძია, აბა რავა ... ნა (ივანიკა არ უპასუხებს). ივანიკა, ივანიკა!

**ივანიკა (წამოვარდება):** — ვიაა ხარ ა? ო, გლახუნაი ყოფილხარ, გამარჯობა. უკაცრავად, ვერ შეგამჩნიე, რაცხას ჩემთვის ვფიქრობდი. (ვითომ დააპირებს წასვლას).

**გლახუნა:** — საით, საით ივანიკა? მეიცაი, აგერ ახალ ამბავს გეტყვი! სულერთია, ბიძია, ვულზე რომ გაქსკდეთ, კოლექტივში მე და შენ არ ჩაგვწერენ.

**ივანიკა:** — გლახუნავ თუ კაცი ხარ გაყევი შენს გზას, მე ჩემი ჯავრი მეყოფა, გაყევი, გაყევი თუ კაცი ხარ!

**გლახუნა.** — რავა, აღარ მკადრულობ თუ? ან ეგებ ჩემი სიტყვა აღარ მოგწონს? ასეა ბიძია, თავის დროზე გეუბნებოდი, — დეეგდე შენს ჯარგვალაში და ნუ აყოლიხარ მაგ ყაზილარებს · მეთქი. შენ კი ჭკვიან კაცს არ დამიჯერე, თვითონ კი შენთვის ღმერთს თავში ჩხუის მაგიერ ჩონჩორიკი ჩაუყრია.

**ივანიკა** (გაბრაზებული). გლახუნა გაეთრიე აქედან, თვარა საჯაყ საქმეს მაქნევინებ, ბიჭო, შენზე ჯარესად მაინც არა ვარ.

**გლახუნა:** — გათრევის რა მოგახსენო და ისე კი წავბრძანდები და მია ძახა: შენ ვიღაცას უძუძგურებ, რომ უთხრა: კოლექტივში არ ჩაეწეროვო. (მიდის).

**ივანიკა** (მიმავალ გლახუნასკენ): — მაგ ქვეყნის გოხას უყურებთ? აი გიდი ივანიკა, რა დრო იყო წინად, გლახუნასთანაი თვალებში ვერ ჩამომხედავდა. (გამოჩნდება კოწია კვირცხალაშვილი, ივანიკა წელში გასწორდება (თავისთვის ამბობს) არიქა, ბიჭო ივანიკა, თუ ვარგხარ, სიძეთ ქვით მაჯისანაი ბიჭი (კოწია მიუახლოვდება) კვირცხალაშვილს გაუმარჯოს! რავა ბრძანდებით?

**კოწია:** — ივანიკა ნაფოტვარიძეს გაუმარჯოს, თუმცა თქვენი გამარჯვება — ჩვენი დამარცხებაა მარა არა უშავს, სიტყვას ... არა ...

**ივან კა:** — **კოწია.** რაია რომ ალაი ... არებით. ცხონებული მამაშენი ნახევარჯერ ჩემსას იჩჩენდა თავს, რამდენი სიკეთე მიქნია მისთვის. შენ კი ეზოში არ შემოდიხარ, თუ ჩვენი გეშინია. არ ვიცი... კულაკიაო რომ მიძახით, აღარა ვარ კულაკი, დეიჯერეთ.

**კოწია:** — ჰე, ჩემო ივანიკა, რაიზამ შენ ჩვენთვის უცხო კაცი ხარ. კაი კი იყო კოლექტივთან მტრული განწყობილება არ გქონებოდა... შენ შენთვის იყავი — ჩვენ ჩვენთვის ვართ. ეს კი იცოდე ივანიკა, ხელის შეშლის ნებას ჩვენ არავის მივცემთ...

**ივანიკა:** — კოწია, აბა რავა გეკადრება ძაი, რას ამბობ მაგას, ჩემთვის ვარ კაცო, რას გიშავებთ, კოლექტივში შემოსვლა რომც მინდოდეს, მაინც არ მიმიღებთ, ქე ვარ ჩემთვის... კოწია, მაგას თავი დაანებე, რაცხა ჩვენ შორის რომ ამბავი იყო წინად, იმის შესახებ მინდოდა...

**კოწია:** — რა ამბავი, რის შესახებ?

**ივანიკა:** — აი ჩემი ქალის, ელპიტეს, შენზე მოთხოვების შესახებ. მაშინ უარზე ვიყავი, კი იცი შენ, აბა რა ვიცოდი ასე კაი ბიჭი შეიქნებოდი. წინად ხომ გახსოვს კოლექტივის ყველას ეშინოდა. ეხლა კი თანახმა ვარ.

**კოწია** (ვადიხარხარებს): — ივანიკა, რას ამბობ, სად მცალია ქალის სათხოვრად. მერე და კულაკის ქალი არ ვითხოვო, რავა კოლექტივის წევრების ქალები რამ წეილო! მშვიდობით, ჩემო ივანიკა, სასიძოს სხვასაც იშოვი. (მიდის).

**ივანიკა** (მიმავალ კოწიასკენ): მასე ხომ, დეიწუნე ჩემი გოგო, არა? მაბანიე შენი ფეხები შენ გლახის შვილო, თუ საცხა არ ჩაგიგდე ხელში; მაშინ ნახავ რა ბიჭი იქნები (თავჩაღუნული გაყვება გზას).

**ქიშვარდი**

---

# ო რ ფ ე ხ ი ღ ო რ ე ბ ი

„ზოგიერთ რაიონებში საქონლის საკვები მოუმარაგებელია“.
(გაზეთებიდან).

ნახ. თოიძის.



— ნუ თუ ჩვენ უკვე შევჭამეთ ჩვენი საკვები?
— **ჩვენ არა, იგი სხვა ღორებმა შეჭამეს!**

# ოპერის მიღწევები

ნახ. სურსკაიას.



სამსონ რიკრიკაძე ფერწასული და დაღლილ დაქანცული დაბრუნდა სახლში. პორტფელი სადღაც მიაგდო და გაჯავრებული ტახტზე გადასვენდა.

ცოლი მივარდა და სეტყვასავით მიაყარა კითხვები:

— რაშენი! ქალია თუ ვაჟი!..

— დამაცადე ერთი ამოვისუნთქო.

— სთქვი. იშოვე თუ არა ბილეთი?

— ვიშოვე

— რა კარგი ბიჭუნა მყევხარ- გენაცვალე,— და ერთი სამჯერ ჩაპროშტა ბაბალემ თავისი ქმარი.

— დამაცადე, ქალო.. ჰო, ის უნდა მეთქვა. რომ ერთი ბილეთის მეტი ვერ ვიშოვე.

— რა? ერთი ბილეთით? კაი, შინ დაგრჩებოდეს, კაი ქმარი შენა მყავდე. მთელი ჩემი ამხანაგები იქ იქნებიან: ლუსია, მუსია, მარუსია და მარტო მე უნდა გამოვწყდე ტოლსა და სწორში?.. სულ შენი წყალობით.. შენი წყალობით,— ცოლი აზლუქუნდა

— რა ვქნა, ღმერთმანი ბევრს ვეცადე...

— სუს! ხმა-კრინტი!..

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. რიკრიკაძის მეუღლე ერთბაშად წამოიჭრა, ცრემლები შეიწმინდა და დინჯ-შემოყრილმა უთხრა ქმარს:

— მაგ ბილეთით მე წავალ. შენ კი ინებე და სახლში იჯექი. ეგ ბილეთი ჩემია.

— როგორ თუ შენია? მე ჩემთვის ავიღე.

— არასოდეს. ამაღამ მე უნდა წავიდე თეატრში.

— მე უნდა წავიდე!

— მე!.

— მე!.

— მე!.

— დიდა კაცო! აბა, რად გინდა ტიტველი ქალის დანახვა. ტიტველი ქალისთანა საზიზღარი არაფერია ქვეყანაზე; არ გახსოვს ანაპაში ქალები ჰკრეხებივით რომ ეყარნენ. შენ თითონ რამდენჯერ გითქვამს: თუ მეც ტიტველი ამისთანა უშნო ვარ,—თავს მოვიკლავდიო

ქალი ერთბაშად მოლბა, თითქმის რაღაც სასიამოვნო გაახსენდა. მიუახლოვდა ქმარს და გადაწყვეტილი კილოთი უთხრა:

კარგი წადი, დასტკბი იმ მუხტაროვის ცეკვით, მაგრამ ერთი პირობით.

— რა პირობით?

— კაზლოვსკი რომ ჩამოვა, ყველა წარმოდგენებზე მე უნდა ვიარო. მე მგონი აქ აღარ შემედავები. მუხტაროვა—შენ, კაზლოვს კი—მე.

— რა! მეჯიბრები?.

— კი არ გეჯიბრები, მაგრამ სამაგიეროს გიხდი

ქმარი თუმცა პასუხის მგებელი მუშაკი იყო და ქალთა თავისუფლებასაც წიგნებსაც ჰბეჭდავდა, მაგრამ ქალის თქმისა არ იყოს: „პრინციპი სხვაა და საკუთარი ცოლი კიდევ სხვა". ცოლის მუქარა არ ეჭაშნიკა. და დათმობაზე წავიდა.

— მე აღარ მივდივარ... წადი, ჩემო კარგო, ისიამოვნე, მე ამაღამ მაინც საწერი მაქვს...

— ვერ მოგართვი. შენი ოქტაკი . ჩემი შაგირდი იყო. ბილეთი გიყიდია, წადი ისიამოვნე.. მხოლოდ არ დაივიწყო მუხტაროვა—შენ, კაზლოვსკი — მე.

არ ვიცი რით გათავდა ცოლქმრის ალიაქოთი. ეს კი აშკარა იყო, რომ საღამოთი თეატრში მხოლოდ სამსონ რიკრიკაძე იჯდა მესამე რიგში და ცოლი კი სახლში დარჩენილიყო.. რიკრიკაძეს იმედი გაუცრუვდა. რადგან მუხტაროვა იმ საღამოს ტიტველი არ გამოსულა, ოპერაც სამი მოქმედებისაგან შესდგებოდა და მაშასადამე ანტრაქტებში ნახავდა ლამაზ ქალებს. იჯდა მესამე რიგში № 65 სკამზე და თავის გულს ასკდებოდა, რომ სამ მანეთიან ბილეთში ხუთი თუმანი მისცა. დალილამ თუ სამსონს თმები შეაჭრა, მუხტაროვამ რიკრიკაძეს ერთი თვის ჯამაგირი შეაჭრა ჯიბეზე.

რიკრიკაძის ცოლი კითხულობს აფიშებს კაზლოვსკის ჩამოსვლის შესახებ...

ჩამოვა კი?

რაშიდ ვარდან-ოღლი

---

# ოპორტუნისტული არია

[illegible], რომ მიხსენებენ
ვიტანჯები ამ დროს:
იქნებ ვინმეს ვაწყენიე,
საქმეს მიწყობს სამტროს.

ვთქვათ, ავალ დილის ათ საათზე
მიველ სამსახურში
და ზარივით ბრძანების ხმა
შემომესმა ყურში:

— „რაიონში იგზავნები,
ამხანაგო თადე,
შეიკარი ხარა-ხურა ,
გასწი გაემზადე!!!

—ჰმ... ამ გვარის ფიქრითაც კი
ჟრუანტელი მივლის...
რა სჯობია გასაფრხულზე
მოგუზგუზე ტფილის.

ოპერები, კინოები,
კომედია, დრამა.
ავტოებით ქალაქ-გარეთ
და ავტოში დამა.
გადარჩევის კამპანია,
კამპანია თესვის
ქალაქში, რომ ჩავატაროთ
საჭიროა,—მესმის:
სოფელში კი გზა არ არის,
ვერ გაივლის ავტო,
მიატოვე ცოლ-შვილი და
იჩანჩალე მარტო!..
აბა ვის რა ვაწყენინე—
იქ გამგზავნოს მიმტროს,
და თუ წასვლა მომიწია
თავს მოვიკლავ იმ დროს.

— კიკო

ნახ. ქოქიაშვილის.



მასწავლებელი: — კოოპერატივი ვის ემსახურება?

მოწაფე: — ნოქრებს —მასწავლებელო!

# ნიანგის საკბილო

## „ეპოს“ მფლანგველი, დადის და მღერის-
(შორაპანი)

კოოპერატივს ძარცვავდა
იაშა ჭაბუკიანი,
—უყვარდა ღვინო, ქეიფი
სადილი, მწვადი ცვრიანი.
როს დათვრებოდა იცოდა



სიმღერა ბოხი ხმიანი,
ასე ატარა დროება,
განლო დღეები მზიანი!
მაგრამ გაუგეს იაშას
აჭკრეს პანღური მაგარი,
ახლა სეირნობს და ამბობს
— აბა, ეს ჩემთვის რა არი!
უკეთეს ადგილს ვიშოვი
სანამ გული მაქვს მაგარი,
ხომ შემრჩა იგი ხაზეივით,
რასაც რომ კბილი გავკარი.



## აქა ამბავი — კბილ გასაკრავი
(ფოთი)

ფოთის ამბებსა
ახალ-ახალსა,
კბილ გასაკრავსა
საქმეს — მრავალსა—
ვგზავნი—ნიანგო,
სამსჯავროთ შენდა,
რასაც სჭირია
დაცხება, წმენდა.

ჩვენი ქალაქი
საკვირველია,
(არე-მიდამო
მისი ვრცელია)
ქაობი, ტლაპო
ულეველით,



ქუჩები ლაფია,
მუდამ ბნელია.
ესე ამბავი,
თუმცა ძველია,
და არ ადგება,
მას საშველია!

სხვა ქალაქები
როცა შენდება,
როს ლამაზდება
და სხვაფერდება
ჩვენი ქალაქი
ისევ ძველია,
მისი ქუჩები,
მუდამ ბნელია!

მიღწევად რჩება
„კონკა“ ცნობილი,
ადამისწლიდან
გამოწყობილი,
იგი დღესაც კვლავ
ისე ეთრევა,
მის „სწრაფსა რბენას“
კუც დაეწევა:
მიათრევს ნჯღრევით
საწყალი ცხენი.
ცხენი ძვალტყავი
გაწვრილულ ქშენით;



ქალაქს მზადა აქვს
პროექტი ვრცელი,
ახალ ტრამვაის...
—ჩვენც ველით, ველით,
უკვე მეათე
გავიდა წელი.

ხეტყის ქარხნები
პირად მდინარის,
აქ ძველ დროიდან
მრავალი არის,
ბევრი მათგანი
დასაწუნარი,
არა აქვს გეგმა
შრომის უნარი!
ერთი მათგანის
გამგედ ბრძანდება.

კაცი უხეში,
მეტად თავნება.
არის მოკრივე
ყველა მუშაზე,



ცნობილი გახდა
ეს ურუშაძე!

—.—

კოლხიდ-მშენის სასადილო
პირველია აქ საკბილო!
„დიდ კაცებსა“ კვებავს კარგად
და მუშებს თელის ზედმეტ
ბარგად.



სპეცტანსაცმელს მას აძლევენ
ვინაც არის გაიძვერა,
კოლხიდ-მშენის სამართალი
ვერ გავიგე კიდევ, ვერა!

—.—

სატყეო ტრესტიც ზარმაცობს
ცრუ დამკვრელია, ცნობილი,
ძველი ვაჭარი, ბოზბოლა
ბევრია აქ მოწყობილი,
უვადო მივლინებები
ხარჯები უთვალავია,
აი მიღწევა ტრესტისა
რითაც მას მოსწონს თავია.

## ნოტა სამტრედიის „სოცკულტგანს“

„ამხ. „სოცკულტგანო“ მოგახსენებთ მე თქვენგნით დაჩაგრული, და წყებული და დამთავრების იმედდაკარგული **ილორის უბნის შვიდწლედის** შენობა. არ უნდა დაგავიწყდეთ ის, როგორც აგერ ათი წლის წინად დიდი-ჯიხაიში დაწყებული ტეხნიკუმის შენობა დაივიწყეთ და არ დაამთავრეთ.

აბა მითხარით, მარტო კომისიამ რა უნდა ქნას, თქვენც თუ არ დაეხმარებით?

ჩემი აშენების პროექტი—2 სართული, 16 ოთახიანი შენობა არის. თუ არ გჯერათ, კითხეთ ლუციკ თევზაძეს. ჩემი გეგმა მის გაცრეცილ პორთფელში ინახება. ეხლა, როგორც სჩანს, თქვენს შემყურეს ერთი სართულის მოთავებაც არ მეღირსება. რად არ გრცხვენიათ, თუ არ შემისრულებდით, რას მპირდებოდით. ვარ გასაჭირში, თოვლსა და წვიმაში... უიმედო, თქვენი შემყურე, მოწყალეა ლუკა და ვანო...

გწერთ თქვენგნით მივიწყებული ილორის შვიდწლედის შენობის ბალავერი“.

უნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცეცხლი

საოჯახო კედლის გაზეთი
ჩვენი ოჯახის ორგანო

№ 1




## საოჯახო კედლის გაზეთი

დღეიდან ჩვენს ოჯახში იწყებს გამოსვლას კედლის გაზეთი სახელწოდებით: „ცეცხლი", რომლის გამოცემა განზრახული იყო ზამთარში, როცა ეგზომ მწვავედ იდგა ჩვენი ოჯახის წინაშე ცეცხლის საკითხი.. მაგრამ ტექნიკური მიზეზით ვერ შევძელით ამ გაზეთის გამოცემა გაზაფხულამდე. ეს ტექნიკური მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენი ოჯახის შეგნებული ელემენტები, რომლებიც ოპორტუნისტულად უდგებოდა ძირეულ საოჯახო პრესის მნიშვნელობის შეფასებას, დაუზოგავად ანადგურებდენ კედლის გაზეთისათვის შეძენილ მასალებს, როგორიც არის ქაღალდი, კარდონი, სურათები, ფანქრები, კალმისტარები და სხვ., რომელთაც მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, აშკარად თუ ფარულად იყენებდენ ღუმელის გასათბობად.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაზაფხულია და საკმაოდ თბა ჩვენს ოჯახში, ჩვენ მაინც არ შევცვალეთ გაზეთის სახელწოდება „ცეცხლი", რადგან გაზაფხულზე და ზაფხულის განმავლობაში განუწყვეტელი განგაში იქნება ჩვენს ოჯახში ცეცხლის პრობლემის მოგვარების ირგვლივ, წარსული ზამთრის მწარე გამოცდილების გამო.

გარდა ამისა, ჩვენი ორგანო „ცეცხლი" დაუნდობლად გამოამჟღავნებს ოჯახში ყოველგვარ გადახრა-გადმოხრებს, დამახინჯებებს და გარღვევებს.

ჩვენი გაზეთის ლოზუნგი არის და იქნება: „ვინც არაფერს აკეთებს, მან არაფერი ჭამოს".

სარედაქციო კოლეგია.

## „გარღვევა"

სამი დღეა მამას გარღვეული აქვს შარვალი მეტად თვალსაჩინო ადგილას. დედა, რომელსაც შეეძლო „გარღვევის" გამოსწორება, ოანაშაულებრივ გულგრილობას



იჩენს ამ საქმისადმი. „გარღვევა" ადვილი გამოსასწორებელია. მით უფრო, რომ ნემსიც მოგვეპოვება და ძაფიც. მართალია ძაფი თეთრია და შარვალი შავი, მაგრამ არა უშავს ნახშირს გაუსვამთ ძაფს..

ცეცე.

## პასუხად „ცეცეს"

ზემოთ მოთავსებულ კორესპონდენციას სახელწოდებით „გარღვევა", მე პრინციპიალურად ვეთანხმები, მაგრამ კორესპონდენტი თავისი წერილის ბოლო ნაწილში უშვებს უხეშ შეცდომას. სახელდობრ, როცა ლაპარაკობს, რომ თეთრი ძაფი შეიძლება გავაშავოთ ნახშირის წასმით. ვეკითხები „ცეცეს", სად აქვს ნახშირი? რომელი ნახშირით ფიქრობს ძაფის გაშავებას, როცა მთელი ზამთრის განმავლობაში ცეცხლი არ დაგვინთია.

დანარჩენში სავსებით მართალია ამხ. „ცეცე".

ცაცო.

## დაპირება-დაპირებათ რჩება

მამა ყოველდღე მპირდება, რომ კლასთა ბრძოლის ისტორიის სახელმძღვანელოს მიყიდის. სამსახურიდან დაბრუნებულს ყოველთვის კარებში უხვდები, მაგრამ ყოველთვის მესმის: „ვერ ვიშოვე".




რას ნიშნავს ეს? ეს აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი.

ცუცა.

## პასუხად „ცუცას"

წაუგრძელებია ენა და რას ტლიკინებს თითონ არ იცის. თუ არ სჯერა, რომ კლასთა ბრძოლის ისტორიის სახელმძღვანელო არ იშოვება სახელგამის მაღაზიებში, კარგა მოზრდილი მუტრუკია, ჩამოიაროს მაღაზიები და დარწმუნდება. მეორეჯერ არ გა-



ბედოს ასეთი გამოსვლა მამის წინააღმდეგ, თორემ შოლტით გავუწითლებ.....

მამა აკაკი.

## თვითკრიტიკის ჩახშობა

ჩვენ არ შეგვიძლია მამის ზემოდმოყვანილი პასუხი ცუცასადმი არ შევაფასოთ, როგორც თვითკრიტიკის ჩახშობის აღმაშფოთებელი ფაქტი. შესაძლებელია, მამა მართალიც იყოს იმაში, რომ დასახელებული სახელმძღვანელო არ იშოვება სახელგამის მაღაზიებში, მაგრამ განა ეს მამას უფლებას აძლევს ჩვენს კედლკორს „ცუცას" ასეთი უშვერი სიტყვებით მიმართოს. მამის თავხედობა იქამდისაც მივიდა, რომ შოლტითაც დაემუქრა ჩვენს კორესპონდენტს.

მოუწოდებთ წესრიგისაკენ მამას და უკანასკნელ გაფრთხილებას ვაძლევთ — აღიაროს თავისი შეცდომები.

ლილი.

## შეცდომის აღიარება

ვაღიარებ, რომ ზემოდმოყვანილ ჩემს პასუხში „ცუცა"-სადმი ვერ დავიცავი ზომიერება და უხეში სიტყვებით მივმართე კორესპონდენტს, მაგრამ აქვე ვაცხადებ, რომ ცუდ ხასიათზე ვიყავი იმ დროს, რაც გამოწვეული იყო მით, რომ სადილი მზად არ დამიხვდა. უკან მიმაქვს ჩემი მუქარა, მხოლოდ მოვითხოვ ზომების მიღებას ამხ. პასიკოს, ე. ი. ჩემი ცოლის წინააღმდეგ, რომ მან თავის დროზე მოამზადოს სადილი.

მამა აკაკი.

## პასუხი ამხ. აკაკის

ამხ. აკაკი ყოჩაღია ბრალდების წამოყენებაში, მაგრამ ერთი მოაგონეთ მაგ ვაჟბატონს, წყალის ქირას რომ არ იხდის, — როგორ ფიქრობს უწყლოთ სადილი გაკეთდება? სადილი ვაკეთო, თუ წყალი ვზიდო მეზობელ ეზოებიდან. ან კიდევ რომ დააგდებს ხუთ მანეთს და კარგი სადილი დამახვედრეო, რომ იბარებს, ხუთი მანეთის მარტო რედისკა არ ყოფნის, ხომ იცის?

პასიკო.

კედლის გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ახლო მომავალში.

სებეირ-ბინ-შეიხ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მახინჯი მოვლენა

**მაშო:** — ბიჭო, ყოველდღე რომ მებრძოდი — ღამღამობით იგვიანებ და ვიღაცეებს დაყვები თეატრ-კინოებშიო, ეხლა არ ცნებავს მუქთ კუბოში გადაგორება?

**ჟორა:** — მუქთ კუბოშიც გადაგორილი და ფაეტონშიაც, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის სად ან ვისთან დაჩეტიალობ.

**მაშო:** — მომისმინე ჩემო ჟორა, ნუ ჯავრდები, დღეიდან ჩვენ ბედს ძაღლი არ დაუყეფს, მხოლოდ საჭიროა ქამის შნო გამოიჩინო და საკითხი ამოწურულია.

**ჟორა:** — ქამის შნო როცა გამოვიჩინე, ნეტავი მაშინაც არ გამომეჩინა. სამი წელი ვირის აბანოში ვამატარებინეს.

**მაშო:** — ჩემო ჟორიკო, გულდამით მოისმინე და ისეთ რამეს გიამბობ, რომ შენს სიხარულსაც საზღვარი არ ექნება.

**ჟორა:** — აღარ მაქვს მოთმინება, მითხარ რაშია საქმე?

**მაშო:** — გავიცანი „ტორგსინის" მაღაზიის ორი თანამშრომელი, რომლებიც ყველაფერს მპირდებიან.

**ჟორა:** — გენაცვალე ყელში?

**მაშო:** — ეგ არაფერია, „ტორგსინში" დისციპლინაა. უკეთესი საქმე გავაკეთე: გავიცანი სარეწაო კავშირის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც ფეხსაცმელს, კოსტიუმს და სხვა მრავალ ასეთს მპირდებიან.

**ჟორა:** — ნუ თუ მართლა?

**მაშო:** — თამაცა, ჯერ მეასედი არ მითქვამს. გავიცანი აბრეშუმის ტრესტის თანამშრომელი, რომელიც აბრეშუმს ჩვენს სიცოცხლეში არ მოგვაკლებს. დაუახლოვდით საქ. ღვინის ტრესტის პასუხისმგებელ მუშაკს, რომელიც ღვინოს არ მოგვაკლებს.

**ჟორა:** — გადვირიე კაცი. რას ამბობ მაშო?

**მაშო:** — დავუახლოვდი სამ აფთიაქის გამგეს, გავიცანი თევზის მაღაზიის ნოქარი, ჩემი ნათესავი აღმოჩნდა საქართველოს მთიელთა საზოგადოების მუშაკი, გავიცანი ცხრა ინსტიტუტის დირექტორი, ორი მოსამართლე, გავიცანი აბანოების გამგე.

**ჟორა:** — ბიჭო, აბანოს გამგე საიდან გაიცანი?..

**მაშო:** — იქვე აბანოში.

**ჟორა:** — როგორ?

**მაშო:** — როგორ და ისე, მაცა ჯერ არ დამიმთავრებია, ნუ შემაწყვეტინებ.

**ჟორა:** — რაღაც ეჭვი მებადება შენს მოქმედებაში.

**მაშო:** — შე სულელო, აბა ამდენი ხალხის გაცნობა ხომ არ შეიძლებოდა მათ ცოლებთან. ხმა, კრინტი, თორემ.. პროკურორი გავიცანი, ყველაფერს გამოვაცხადებ შენი ცოდვების შესახებ და...

**ჟორა:** — არა ჩემო მაშო, გეხუმრები!

**მაშო:** — მაშ შენც სუ და მეც სუ.. არავითარი ჩარევა პირად საქმეში.

**მურია.**

# სტოიკები

როცა ნიანგი რედაქციაში მუშაობს და ამზადებს მორიგ ნომერს ისეა საქმეებით დატვირთული, რომ სიცი-

ნიანგს ძველი წიგნების კითხვაც უყვარს...

და, აი, ამას წინედ საღამოს, როცა რედაქციაში არავინ იყო, ნიანგი ჩამჯდარიყო და კითხულობდა.

**„სტოიკები აღჭურვილი იყვნენ დიდ ნებით ყოფით, სიმშვიდით და გამბედაობით".**

**„მაკარი ალექსანდრიელი 6 თვის განმავლობაში ფეხზე იძინებდა".**

მაგრამ ეს ამბავი ნიანგს სრულიად არ გაჰკვირვებია. მან გულგრილად ჩაილაპარაკა ამ ამბავზე:

— ჩვენ მეტი და უმჯობესი მაკარი ალექსანდრიელები გვყავს. ექვსი თვის განმავლობაში კი არა, მთელი წლის განმავლობაში სძინავთ ფეხზე... ეს კიდევ რაა! დადიან და სძინავთ..

— მაგალითი, მაგალითი, ამხ. ნიანგო! — მოესმა მაკარი ალექსანდრიელის ხმა.

— მაგალითი? ინებეთ: გასულ წელს შეშის ტრესტმა მთელი წელიწადი იძინა და, წარმოიდგინე, ახლაც განაგრძობს ძილს. არ იქნა მისი გაღვიძება, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აფხიზლებენ.

— საღათას ძილით ყოფილა შეპყრობილი....

— საღათას ძილით არის თუ ალათას, სულერთია, ძილს განაგრძობს. ფაქტი ის არის რომ ამდენ ხანს სძინავს, არ იქაა მისი გაღვიძება... დგას თუ მუშაობს ყოველთვის ძინავს.

— აბა, ჩემისთანა თუ იქნება ვინმე? — მოესმა ნიანგს სხვა ხმა...

— ვინა ხარ შენ?

— მე ვარ სენოხი, სტოიკი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ვუძლებდი უძილობას, არ ვიძინებდი.

— მიდი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში და დარწმუნდები, რომ უძილობა შეიძლება გაგრძელდეს მთელი წლის განმავლობაშიაც.

— : —

— თურმე რაში ყოფილა საქმე, რომ ჩვენ, მიუხედავად ამდენი წამებისა, სამოთხეში მაინც ვერ მოვხვდით! — გაკვირვებით გადაულაპარაკა მაკარი ელქსანდრიელმა სენოხს და ორივენი გაქრნენ.

ნიანგს ოდნავ გაეღიმა, წიგნი დახურა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ კინაღამ გააღვიძა შეშის ტრესტი.

**რინ-ტინ-ტინ.**

# კოოპერატივის თაგუნებში

ძლიერო ნიანგო, მე მინდა გაცნობო კოოპერატივის ორი თაგვის ამბავი. მათ დროზე უნდა შენი რის ხვა, თორემ საცაა ქონი მოერევათ.

პირველი გახლავთ **ამბროსი თოფურია**, რომელიც მსახურობს „ზერკას" მაღ. № 3, პლეხან. გამზირი № 58.

უნდა ითქვას, სიმართლე, რომ ამბროსი პროფესიით მასწავლებელია, მაგრამ მან ბავშვებთან „ქაქანს" კოოპერატივში სამსახური არჩია და, წარმოიდგინეთ, სანამ ის იქ მოეწყობოდა,, სერვანტესის გმირს გავდა, ხოლო მოწყობის შემდეგ კი სანჩო-პანჩოს დაემსგავსა (ალბად იქაური ჰავა მოუხდა).

მასწავლებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე — ჩვენი პროფესიის კაცია და კეთილ სინდისიერად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ მათი წილი დეფიციტონი საქონელი სპეკულიანტებს გაუნაწილა, ხოლო ესენი საოდათის ბაზარზე ჰყიდიან საქონელს.

მეორე გახლავთ მინადორა ხმიადაშვილი, რომელიც განაგებს მეც ნიერ მუშაკთა № 1 დახურულ განმანაწილებელს.

დიახ. ეს ის მინადორა გახლავთ, რომელიც ადრიანად იქნა განთავისუფლებული თანამდებობიდან, როცა ის რაიტეპეოს მაღ. № 12-ში მსახურობდა ნოქრად. (მიზეზი გახლდათ ნაცნობ-მეგობრებთან გულუხვობა).

მაგრამ ნათქვამია — თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო, და აი მასაც აღმოუჩნდა ცეკავშირში ბაბუა, რომელმაც **რაიტეპეოს** ჯინაზე გამგეთ დანიშნა ხსენებულ მაღაზიაში. დღიდან თანამდებობის ჩაბარებისა, იერიში მიიტანა დეფიციტიან საქონელზე და კიდეც გაართკა ქონი. ნაცნობ მეგობრები კი ყველა მოიმადლიერა.

ამიტომ ძლიერო ნიანგო, იმედია დროზე გამოუნახავ მათ საჭირო წამალს, თორემ საცაა ქონი მოერევათ და შემდეგ გვიან იქნება.

**ანდუყაფარ.**

დაიბეჭდა და 17 აპრილს გამოვა ალმანახი




# ელვა

## მოხერხებული ფოსტა-ლიონი

**აბროლაური.** ფოსტალიონმა ს. ნემსაძემ გამოიგონა „გამოსარჩენი" საშუალება, რომელიც მოსულ წერილებს აცლის მარკებს და ხალხს აძლევინებს ორ-ორ აბაზს — როგორც „ზედმეტ გადასახადს" უმარკო წერილებისათვის. ფოსტალიონი კმაყოფილია გამოსარჩენით და ამბობს, სულ ერთია — რამდენიც არ უნდა გავაკეთო — მაინც არ მყოფნის, რადგან ღვინო ძალიან გაძვირდა.

...ტი.

## მადა ჭამაში იცის..

**სოფ. მალლაკი.** (ქუთაისის რაიონი) საწარმოო ამხანაგობის საწყობის გამგემ და მოლარემ — სანდრომ ჩაყლაპა 1700 მანეთი, ამხანაგობის ფული; სანდრო თავს კარგად გრძნობს და ამბობს, რომ თუ მადა მექნა კიდევ ბევრ ფულებს ჩავყლაპავო.

— ოთხწლედის მასწავლებელმა ვასილ ლექვინაძემ შეკრებში გამოიწვია სადგ. ფოთის უფროსი — მ. რომანიშვილი. შეკრების პირობების მთავარი მუხლია — მუშკორების დიდი და ჭორიკანობა.

იაქე.

## უბედური შემთხვევა

**ს. შემოქმედი.** (ოზურგეთის რაიონი) კოოპერატივის ნოქარი ჩხარტიშვილი უცაბედად გადავარდა ხიდიდან მდინარეში, როდესაც უკანასკნელი სახლში ბრუნდებოდა შაქრით, ფქვილითა და სხვა კბილ-ვასაკრავი საქონლით დატვირთული; დაშავებული დახრჩობას გადარჩა. კოოპერატივიდან „გამასქნებული" — ფქვილი და შაქარი ცოტა კი „დაზიანდა", მაგრამ ამბობს: კიდევ ვიშოვითო;

— ფოსტის გამგე — ვასომ შეიმუშავა შემდეგი სამუშაო გეგმა: ორშაბათს — დაითვრეს და ასტეხოს ჩხუბი და სკანდალი, სამშაბათს — იძინოს, ოთხშაბათს — იჭორიკანოს, ხუთშაბათს — ისეირნოს, პარასკევს — ისევ დაითვრეს, შაბათს — დაითვრეს და იჩხუბოს, კვირას — კიდევ დაითვრეს.

შემოქმედელი.

## დაჯილდოება

**ფოთი.** ალგ. შვიდწლედის გამგე — ტულუში, რომელმაც დიდი „საყვარული" დაიმსახურა მოწაფეებში, როგორც იშვიათმა პედაგოგმა ლანძღვა-გინებაში და ინტრიგანობაში — წარდგენილია დასაჯილდოებლად; გადაწყდა ავრეთვე მისი სახელი წითელი ასოებით აღინიშნოს შავ დაფაზე.

ჯანუმ.

## გ ო დ ო რ ი

**ჟორას** (ჩუმლაყი) ადგილობრივ კლუბის შესახებ იწერებით:

ზამთარში ყინვა გვაწუხებს
და ზაფხულობით სიცხეო,
ჩამოდი ძმაო ნიანგო,
დამნაშავეებს მისცხეო,

თქვენი წერილის კილომ ნიანგს გული აუჩუყა. ჩუმლაყის მესვეურები თავის დროზე უნდა შეუდგენ კლუბის მოწყობა-გაფართოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში—ნიანგიც თანახმაა, რომ მათ არ აწყენთ „გაგრილება".

**კოლას,** (ბათომი) იწერებით:

**ბათუმში შეხდგა დამკვრელ-გადამკვრელთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა დეკადაში 9 დღე და ღამე ქეიფში გაატაროს და მეათე დღეს იფხიზლოს. საკვირველია იმ მეათე-დღესაც რატომ „ლალატობენ მოსეს" და ფხიზლდებიან?**

საკვირველია თქვენი მიუხვედრობა: თუ მეათე დღეს მაინც არ გამოფხიზლდენ, მაშ ხელ-ახლა როგორღა უნდა დაითრონ?

**ალეს** (ბათომი) თქვენი ლექსი ასე იწყება:

**„ბათომიდან წამოვიდა**
**ჩქარი მატარებელი**
**მას გამოყვა ჩემი ცოლი**
**ჩემი გამწვარებელი.**

შენს საპასუხოთ იგივე ლექსი ნიანგმა ასე შეაკეთა:

**ბათომიდან ჩამოვიდა**
**ჩქარი მატარებელი,**
**მას ჩამოყვა შენი ლექსი**
**ჩვენი გამწვარებელი.**

**ტრიფონს** (აჭვე) იწერებით:

საფლის საბჭოს თავმჯდომარე
კუტიტ ზამთარ-ლეტომ
—ნიანგოჯან არ დატოვო
ბეზ ნაკაზა ეტო.

ჯერ ერთი ასეთ „ქართულს" ოფერი ვერც კი გაიგებს; შემდეგ რატომ არ იწერებით თუ რომელი სოფელს ან ვის ეხება კერძოდ ეს სტრიქონები?




ნახ. ნადარეიშვილის.

## ნიანგი თესვაზე

— ჯერ ამ მავნე ბალახ-ბულახები-
საგან გავწმინდო ეს მინდორი და შე-
მდეგ თესვა ადვილი საქმეა!

გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობათა სტამბა, კამოს ქ. № 64

მთავლიტი — № 2400